

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ.
მართლმადიდებელი მრევლის კავშირი.

მართლმადიდებლობა და ეროვნულობა

მართლმადიდებლობა – ეროვნული
იდეოლოგიისა და ეროვნული უშიშროების
ქვაკუთხედი



თბილისი 2011

ახალი მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა პიროვნული ღმერთის აღმსარებელი რელიგიების მატარებელი ერებისა და ეროვნული სახელმწიფოების განადგურება, ხოლო უმთავრესი და საბოლოო მიზანი - ჭეშმარიტი სარწმუნოების, მართლმადიდებლობის აღმსარებელი ერებისა და სახელმწიფოების სულიერი და ფიზიკური გენოციდი. ამის შესახებ ჩვენ ვწერდით ჩვენს წიგნში „ქართული იდეა“ (2006წ.). წინამდებარე ბუკლეტი წარმოადგენს აღნიშნული თემის გაგრძელებას და მიზნად ისახავს, ისტორიულ ჭრილში დაასაბუთოს იდეა: საქართველოსთვის, ჩვენი ერისთვის სწორედ მართლმადიდებლობა იყო ეროვნული იდეოლოგის ქვაკუთხედი, იმდენად, რომ ქართველობა და მართლმადიდებლობა, ლამისაა, სინონიმებად იქცნენ. ეს მჭიდრო კავშირი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება გლობალიზაციის აპოკალიფსური პროცესების განვითარებისას. სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ: ჩვენი ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენა მხოლოდ ჭეშმარიტი ღმრთის აღმსარებლობაში, მართლმადიდებლობაშია და მისი როლი უმნიშვნელოვანესია დღეს, როგორც არასდროს. ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული უშიშროების ქვაკუთხედად მართლმადიდებლობის დასახვა არის გზა გადარჩენისა, რასაც ადასტურებს როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილება, წარსულის უტყუარი მაგალითი, ისე აპოკალიფსური მომავლის პერსპექტივა და მის შესახებ წინასწარმეტყველური ცოდნა, რომელიც ჭეშმარიტ აღმსარებლობას, მართლმადიდებლობას გააჩნია, ცოდნა, რომელიც სულ უფრო თვალსაჩინოდ ცხადდება, წინასწარმეტყველება, რომელიც დღითიდებე აღესრულება.



მართლმადიდებლობა – ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული უშიშროების ქვაკუთხედი

1. შესავალი

რელიგიისა და ეროვნულობის ურთიერთიმიმართების თემა მეტად აქტუალურია დღეს. ამ თემაზე საუბრობენ როგორც მორწმუნები, ისე ურწმუნონი; როგორც ტრადიციული ლირებულებების მიმდევრები, ასევე ისინი, ვინც ცდილობს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას და დამდინარებას. უკანასკნელი სახელმძღვანელოდ არ იღებენ და არ ეყრდნობიან ღმრთივგამოცხადებით წავლებას, რელიგიურ გამოცდილებასა და ერისთვის ნიშანდობლივ ისტორიულ-ტრადიციულ ღირებულებებს. ისინი ამ თემას განიხილავნ: ა) სარწმუნოებრივ ასპექტში - პანეკუმნისტური დოქტრინის ჩარჩოებში და ბ) ყველა სხვა ასპექტში - კოსმოპოლიტურ-ლიბერალური იდეოლოგიის ჩარჩოებში. ამასთან, ისინი ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად სულ უფრო დახვეწილ, მზაკვრულ და, ხშირ შემთხვევაში, ძალადობრივ მეთოდებს იყენებენ, კერძოდ, - კოლექტიური თუ პიროვნული თავისუფლებისა და უფლებების საფარველით ცდილობენ დანერგონ ფსევდო-დემოკრატიული, ფსევდო-ლიბერალური და ზნეობრიობისაგან გათავისუფლებული იდეოლოგია, ცნობიერება და ფასეულობები. ამით ცდილობენ, წაშალონ ერის სულისა და ცნობიერების განმსაზღვრელი ძირითადი ნიშან-თვისებები, ანუ, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, ძირითადი იდენტიური კატორები და ერის თვითმყოფადობა, შედეგად - აქციონ იგი უსახური ერთობის კიდევ უფრო უსახურ ნაწილად. ნიშანდობლივია, რომ დემოკრატიის სახელით მოლაპარაკენი სწორედ არადემოკრატიულ მიზნებს ახორციელებენ, ტოლერანტობისა და ლიბერალიზმის „მედროშენი“ ყველაზე არატოლერანტები, არალიბერალები და შეუწინარებლები არიან განსხვავებული აზრის მიმართ, შეუბრალებლები და მოძალადენი მათოვის არასასურველი ცნობიერების მატარებელი პიროვნებების, ერებისა თუ ხალხების მიმართ, მათი ცნობიერება ფანატიზმის ყველაზე მახინჯი ნიშნების მატარებელია, მათი ქმედებები - ექსტრემისტული, - ძირითადად, სულიერი ტერორის მიმართულებით.

ეს თემა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესთან, რომელსაც სათავეში უდგანან მსოფლიო იუდეურ-მასონური კლანი და მის ნება-სურვილს დაქვემდებარებული

პოლიტიკური ელიტა. ეს პროცესი, ეკლესიოლოგიური გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა კაცობრიობის მომზადება ანტიქრისტეს ხელისუფლებისათვის. ამიტომ დასახელებული თემის განხილვა ჩვენ მოგვიწევს მრავალფეროვან თემათა და მოვლენათა კონტექსტში.

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ გლობალიზაციის რეალური მიზნები და ის ტექნილოგიები, რომლებიც ამ მზის განხირციელებას ეძახურება. იმის გაცნობიერება, თუ რას უქადის გლობალიზმი, რეალურად, კაცობრიობას, განსაკუთრებით კი მართლმადიდებელ ერებს, დაგვეხმარება იმ დასკვნის გამოტანაში, რომ მხოლოდ მართლმადიდებლობას შეუძლია პიროვნების სულიერი და ფიზიკური გადარჩენა მომავალი კატაკლიზმების ორომტრიალში; რომ ერთ, რომელიც თავის ეროვნულ იდეოლოგიას მართლმადიდებლობაზე დააფუძნებს, უფრო მეტად იქნება დაცული დემონური დამონებისა და განადგურებისაგან, ვიდრე სხვა ერები. ამიტომ, მოკლედ შევჩერდეთ ერთი შეხედვით ჩვენა მირითადი თემიდან დაშორებულ, სინამდვილეში კი მასთან მჭიდრო კავშირში მყოფ თემაზე:

2. გლობალიზაციის რეალური მიზნები

„და ვაჩილე სხუა მხეცი, ამომავალი ქუჯანით. და ხელმწიფებასაპარგელისა
მის მხეცისასა კოველსა იქმ წინაშე მისსა და პკოფდა ქუჯანასა და
კოველთა მქოდრთა მისთა, რათა თაყვანის-სცენ მხეცსა მას პირველსა”
(გმოცხადება იოანესი, 13, 11-12)

გლობალიზაცია, არსობრივად, აპოკალიფსური მოვლენა და პროცესია.

გლობალიზაციური პროცესები რეალურად აყენებენ თანამედროვე მსოფლიოში ეროვნული სახელმწიფოების როლის კარდინალურად შეცვლის საკითხს. ამასთან, მცირედი თუ აცნობიერებენ იმას, რომ გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ძალაუფლების გლობალიზება.

პიროვნების იდენტიფიკაციის საკითხის რამდენადმე დეტალური განხილვა სცილდება ჩვენს განსახილველ თემას. ამ საკითხს, სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ ცალკე პუბლიკაციას მივუძღვნით, სადაც მეტი სივრცე იქნება ამ თემის განსახილველად. თუმცა ამ საკითხს რამდენადმე მაინც უნდა შევეხოთ, რადგან იგი, არსობრივად უპავშირდება პიროვნებისა და საზოგადოების, ერის მირითად უფლებათა და თავისუფლებათა ხელყოფის საკითხს. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის მიზნების მიღწევის გზაზე ერთ-ერთი მირითადი ამოცანაა

კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არნახული ზეტოტალიტარული, მსოფლიო ტექნოკრატიული დიქტატურის აშენება, რომლის დროსაც კიბერნეტიკული სისტემების მართვის კანონები გადატანილი იქნება კაცობრიობაზე, საზოგადოებაზე, ხოლო უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიები გამოყენებულ იქნება პოლიტიკური მიზნებით. ამასთან, ფაქტობრივად, გაუქმდება დამოუკიდებელი სახელმწიფოების სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თავად ცნება, ხოლო ყველა თავისუფალი მოქალაქე გახდება მკაცრი მართვის ობიექტი და სინამდვილეში გათანაბრებული იქნება საგნებსა და საქონელობა.

ჯერ კიდევ 1968 წელს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ერთ-ერთი არქიტექტორი, ზ. ბჟეზინსკი, საუბრობდა რა ადამიანთა მასების მართვის აუკილებლობაზე, წერდა: „**გათზრდება პიროვნებაზე სოციალური და პოლიტიკური კონტროლის შესაძლებლობები. მალე შესაძლებელი გახდება თითქმის უწყვეტი კონტროლის განხორციელება ყოველ მოქალაქეზე და მუდმივად განახლებადი კომპიუტერული ფაილ-დოკუმენტების წარმოება, რომლებიც, უბრალო ინფორმაციის გარდა, მოიცავენ ყველაზე კონფიდენციალურ ინფორმაციას ადამიანის ჯანმრთელობის მდგრამარეობის, მისი ქვევისა და სხვათა შესახებ. . . შესაბამის ორგანოებს კი ექნებათ ამ ფაილებთან მყინვერად მიღწევადობის შესაძლებლობა. ძალაუფლება იმათ ხელში მოექცევა, ვინც გააკონტროლებს ამ ინფორმაციას. . . ეს განსაზღვრავს შემდგომი რამდენიმე ათწლეულის ტენდენციებს, რომლებიც მიგვიყვანენ ტექნოტრონულ ერასთან - დიქტატურასთან, რომლის დროსაც თითქმის მთლიანად იქნება გაუქმებული ამჟამად არსებული პოლიტიკური პროცედურები. . .“ (Brzezinski Z. America in the Technotronic Age. Encounter. Vol. XXX. ¹ 1. Jan. 1968).**

2000 წელს ოკინავაში, რვა დიდი სახელმწიფოს პრეზიდენტების შეხვდრაზე, მიიღეს „გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ქარტია“ - პროგრამული პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს XXI საუკუნის ერთიანი მსოფლიო ქსელური საინფორმაციო-ფიჭური საზოგადოების „ფორმირებასა და განვითარებას“. არსებითად, ეს პოლიტიკის, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი სფეროების რევოლუციური გარდაქმნებია, რომლებიც ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ზემოქმედებით. ქარტიაში პირდაპირაა განცხადებული „რევოლუციური ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის“ შესახებ, რომელიც „შეეხება ადამიანთა ცხოვრების წესს, განათლებას, შრომასა და სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობებს“.

2003 წელს უნივერსიტეტი და 2005 წელს ტუნისში შედგა მსოფლიო შეხვედრები უმაღლეს დონეზე გლობალური ინფორმაციული საზოგადოების საკითხებთან დაკავშირებით. ამ შეხვედრებზე მიიღეს პროგრამული დოკუმენტები: „პრინციპების დეკლარაცია: ინფორმაციული საზოგადოების ამენება - ახალი თექნიკულის გლობალური ამოცანა”, „ინფორმაციული საზოგადოების ამენების მოქმედებათა გეგმა”, ასევე, „ტუნისის ვალდებულება” და „ინფორმაციული საზოგადოების ტუნისის გეგმა” (WSIS-03/GENEVA/DOC/5-R.12.12. 2003; WSIS-05/TUNIS/DOC/7-R. 15.11.2005).

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ უკვე შესაძლებელი გახადა შექმნილიყო საყოველთაო, მსოფლიო კომპიუტერული სისტემა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა თვალი აღვნონ პლანეტის ნებისმიერ მაცხოველებელს და მართონ იგი ეწ. „მსოფლიო ელიტის” ინტერესების შესაბამისად. პირველ რიგში, ესაა ნებისმიერ გადაადგილებაზე კონტროლი, ასევე, კონტროლი ადამიანის ყველა შემოსავალსა და გასავალზე. ყოველივე ეს კი კეთდება „კეთილი” განზრახვის საფრანგელითა და საბაბით, რომ „გაუმჯობესდეს ცხოვრების ხარისხი” და უზრონველყოფილ იყოს „მშვიდობა და უსაფრთხოება”, „დანაშაულობასა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა”. სინამდვილეში კი მიმდინარეობს ახალი საზოგადოებრივი წყობის შექმნა, რომელიც შეიძლება განვისაზღვროთ, როგორც პლანეტარული მასშტაბის ელექტრონული საკონცენტრაციო ბანაკი.

„ახალი მსოფლიო წესრიგის” არქიტექტორების ჩანაფიქრით, გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაში უნდა წაიშალოს საზღვრები, სახელმწიფოები, ეროვნულობა, გაუქმდეს ფული და ქაღალდის დოკუმენტები, ხოლო ყველა ადამიანი უნდა იქცეს მორჩილ ბიორიბოტად, საზოგადოების მმართველი კიბერნეტიკული სისტემის დანომრილ მონაც, საკონცენტრაციო ბანაკების დანომრილ უსახელო ტუსალთა მსგავსად. რატომ დანომრილი ბიორიბოტები? იმიტომ, რომ ახალ საზოგადოებაში ადამიანები სრულიად მოკლებულები იქნებიან ღმრთისმიერ ბოძებული ნების თავისუფლებას და ბუნებრივ უფლებებს, პირველ რიგში - სინდისის თავისუფლებისა და პიროვნული სახელის ქონის უფლებას.

უნივერსიტეტის, „მოქმედებათა გეგმის” თანახმად, მსოფლიოს ყოველ ქვეყნაში იქმნება ელექტრონული მმართველობა, რომელიც იგება ერთიანი საერთაშორისო სტანდარტებით ერთიან საინფორმაციო პროგრამულ პლატფორმაზე. დროთა განმავლობაში ცალკეული ქვეყნების ელექტრონული მმართველობები შეერწყმიან ერთმანეთს და შექმნიან ერთიან მსოფლიო სისტემას. სწორედ იმ

დროისთვის დაკარგავს რეალურ, პრაქტიკულ მნიშვნელობას ცნება „სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი”.

რა მოუვა ხალხს? ელექტრონული ხელისუფლებისთვის აუცილებელია ელექტრონული მოსახლეობა. ამგვარად, საფუძველშივე შეიცვლება ურთიერთობები საზოგადოებაში. კანონები დაიწრება (და უკვე იწრება) არა ადამიანებისთვის, არამედ კომპიუტერული მოქმედი კომპიუტერული სისტემის დანამატი. სხვა სიტყვებით, არა ტექნიკური სისტემები დაქმორჩილება ხალხს, არამედ ხალხი დაქმორჩილება ტექნიკურ სისტემებსა და ამ სისტემების პატრონებს. საერთაშორისო შეთანხმებებით (ოკინავა-2000, უენევა-2003, ტუნისი-2005) თავდაპირველადვე განისაზღვრა, რომ მოსახლეობას კონტაქტი ექნება ელექტრონულ მთავრობასთან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაში ადამიანი იცხოვრებს „სისტემური ქცევის” მკაცრი, ხისტი წესების შესაბამისად, რომლებიც დაფუძნებულია „ქსელურ ლოგიკასა” და „ქსელურ სტანდარტებზე”. ეს წესები წინააღმდეგობაში იქნება ადამიანის რელიგიურ მრწამსისა და სხვა რწმენებთან. ამგვარად, ადამიანები იძულებული იქნებიან, იმოქმედონ თავიანთი მრწამსისა და სინდისის საწინააღმდეგოდ. ზოგადად კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ისეთი საზოგადოების მშენებლობა, რომელშიც ადამიანს საერთოდ არ ექნება არანაირი უფლებები და თვისუფლებები!

მათგან, რომელთაც არ ესმით მომდინარე მოვლენების არსი, ხშირად გაიგებთ შემდეგ სიტყვებს: „კი ბატონო, გვითვალოთვალონ, გვაკონტროლონ, - ჩვენ ხომ პატიოსანი ადამიანები ვართ და არაფერს ვაშავებთ”. მათ არ ესმით, რომ ყოველგვარი კონტროლი აუცილებლად გულისხმობს მართვას! მილიარდები იმისთვის კი არ ისარჯება, რომ მარტო უთვალთვალონ, არამედ იმისთვის, რომ მართონ. სწორედ ადამიანთა ქცევის მართვა, მისთვის ღმრთივობებული თავისუფლების წარომევა არის მსოფლიო ტექნოტრონული დიქტატურის მთავარი მიზანი.

თვით მიწიერი კანონებითა და საზომებით რომ ვთქვათ, ადამიანისთვის პიროვნული სახელის ნაცვლად ნომრის მინიჭება უდიდესი ბოროტმოქმედებაა. ნიუნბერგის პროცესზე, რომელიც მიმდინარეობდა 1945 წ. 20 ნოემბრიდან 1946 წ. 1 ოქტომბრამდე, საერთაშორისო სამსედრო ტრიბუნალმა, ფაშიზმის სხვა დანაშაულობებთან ერთად, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ უვალო დანაშაულად ცნო ადამიანებისთვის პიროვნულობის უგულვებელსემყოფელი ნომრის მინიჭებისა და მათი ამ ნომრით დაღდასმის პრაქტიკა (ნიუნბერგის პროცესის მასალები, M., 1954. T. II. C. 865, 872, 873, 910).

სამწუხაროა, რომ თვით ქვეყნის პატრიოტები ვერ აცნობიერებენ იმას, თუ რა საფრთხეს უქმნის პიროვნებასა და ქვეყანას გლობალურ ინფორმაციულ სისტემაში ინტეგრირება. „**ცხარივით ბრძა უნდა იყო,**
რომ ვერ ხდავდე იმას, თუ რა ხდება გარშემო”, - გულისტკივილით ამბობდა ჯერ კიდევ 1994 წელს პაისი ათონელი, როდესაც საუბრობდა მსოფლიო სავაჭრო ელექტრონული სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით. როგორც ცხარი მიყვება ბრძად უფსკრულისკენ მიმავალ ყოჩის, ისე ბრძად მიყვება კაცობრიობა ამა ქვეყნის „ყოჩებს” უფსკრულისკენ.

ანტიქრისტეს სუფერისადმი მზადებას მრავალი წახნაგი აქვთ: ეკლესიოლოგიურ-რელიგიური, სამართლებრივი, ეკონომიკურ-სოციალური, კულტურული, ზნეობრივი და სხვა. გლობალიზაცია ანტიქრისტეში ცდილობს მოახდინოს ყოველგვარ ფასეულობათა ნიველირება, განსაკუთრებით კი – რელიგიური და ეროვნული ფასეულობებისა, ვინაიდნ ესწრაფვის ერთი ერთია და ერთი სარწმუნოების შექმნას, რომლის ლიდერი – როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური – ანტიქრისტე იქნება. ანტიქრისტეში გლობალიზაციის პროცესი ზორციელდება ანტიქრისტეს სტანდარტების დანერგვის გზით. ზნეობრივი თვალსაზრისით ანტიქრისტეს სტანდარტები ქრისტეს სტანდარტების (მცნებების) საპირისპიროს გულისხმობს – გარყვნილებას, სიძვა-მრუშობას, საზოგადოების სოცომ-გომორიზაციას, ძალადობასა და ყოველგვარ სიბილწეს, რომელთა სიჭარბე იქნება მეორედ მოსვლის წინაპირობა. სწორედ ანტიქრისტეს სტანდარტებითაა განსაზღვრული გარყვნილების პროპაგანდა მასმედინის საშუალებებით, სკოლებში სექსუალური განათლების შეტანა, პომოსექსუალიზმის ქადაგება, აბორტების ლიბერალიზაცია, პროსტიტუციისა და ნარკომანიის ლეგალიზაცია, კონტრაცეფციის, სტერილიზაციისა და მსგავსი საშუალებების ფართოდ გავრცელება. უკვე საუბარია ისეთი ბოროტების ლიბერალიზაციაზე, როგორიცაა ინცესტი (ახლო ნათესავებს შორის სიძვა-მრუშობა) და პედოფილია (ბავშთა გაუპატიურება და გახრწნა). მაგალითისათვის მოვიყვანთ შემდეგ ცნობას: ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაციით, რომელიც შეადგინა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ, პედოფილია 1965 წელს სექსობრივ გარყვნილებათა ჯგუფს მიაკუთვნეს, 1973 წელს „გადახრად“დასახელდა, ხოლო 1993 წელს – „სექსუალური ორიენტაციის დარღვევად“. ახლო მომავალში უნდა ველოდოთ პედოფილიის სექსუალურ თრიენტაციად გამოცხადებას. ამგვარად, სახეზეა მსოფლიოს სექსუალური ტოლერანტობის ევოლუცია.

ანტიქრისტეს სტანდარტების დანერგვის ერთ-ერთი მიმართულებაა შტრიხკოდების, საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომრების, პირადობის

მოწმობების, მ.შ. – ბიომეტრიული პასპორტებისა და მსგავსი დოკუმენტების შემოღება, რომლებიც საყოველთაოდ გავრცელებულია ანდა იწყებს გავრცელებას. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ასეთი ტექნოლოგიებისა და დოკუმენტების მიმღები მართლმადიდებლები ჯერ-ჯერობით არ ჩაითვლებიან ანტიქრისტეს ბეჭდის მიმღებებად, ვინაიდან: а) ხშირ შემთხვევაში მათვის უცნობია დემონიზაციის ის მოდელი, რომელიც შეფარულად დევს დასახელებულ ტექნოლოგიაში ან დოკუმენტში (მაგ., ანტიქრისტეს რიცხვი 666 საფუძვლად უდევს შტრიხკოდებს); б) ამ ტექნოლოგიებით სარგებლობა არ არის ანტიქრისტეს ბეჭდის მიღება. ანტიქრისტეს ბეჭდის მიღება გულისხმობს: а) პიროვნების მიერ ქრისტეს უარყოფას, ანტიქრისტეს თაყვანისცემასა და მისი ბეჭდის შეგნებულად მიღებასა; б) ამ ბეჭდის აღჭურვას სრული კონტროლისა და მართვის მექანიზმებით. მაგრამ ჩენ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი ასეთი სტანდარტი არის ნაბიჯი ანტიქრისტესკენ და ყოველი მართლმადიდებელი უნდა ეცადოს, წინ აღუდგეს ამ პროცესს, ყველა ღონე იხმაროს, რომ თავი აარიდოს მსგავსი სტანდარტებისა და დოკუმენტების მიღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, მივუახლოვდებით ანტიქრისტეს ბეჭდს და შეიძლება ვერც შევამჩნიოთ, თუ როგორ აღმოვჩნდებით მის ტყვეობაში.

ამიტომ გვაფრთხილებს ასე მქაცრად პაისი ათონელი, გაკვირვებული ადამიანთა დაუდევრობითა და გულგრილობით ანტიქრისტეს უკვე არსებული ნიშნების მიმართ (ბერი პაისი, დროის ნიშანი 666, 2000.წ): „გაოგნებული ვარ, რატომ არ დაფიქრდებან ყველა ამ მოვლენაზე?... მაშინ, როდესაც ნიშნები ასე მქაფიოდ ჩანს, მხეცმა პრიუსელში რიცვით 666, უკვე ჩაყლაპა ყველა ქვეწები კომპიუტერში. „მომსახურების ბართვი“, პირადობის მოწმობები, ბეჭდის შემთხვება რაზე მაუთოთებს?. . . ამის შემდეგ დაიწყება „სრულყოფილი სისტემის“ რეკლამირება, ანუ, ღამის სხივით ბეჭდი ხელზე ან შუბლზე, რომელიც გარეგნულად შეუმჩნეველი იქნება, რიცხვით 666, ანუ ანტიქრისტეს სახელი. . . სამწუხაროდ, კვლავ ზოგიერთი „გნოსტიკოსი“ თვის სულიერ შეიღებს დაარწმუნებს, რომ არ შეშვროთ არა აქვს მნიშვნელობა, ეს არაფერია, საკმარისია შინაგანი რწმენა“. . . ზოგიერთი თანამედროვე „გნოსტიკოსი“ კი მრავალ სისულელეს ამბობს. ერთი ამბობს „მე მივიღებ პირადობის მოწმობას, რიცხვით 666, და მას ჯვარს გადავსახავ“. მეორე ამბობს: „მე მივიღებ შუბლზე ბეჭედს და თავს ჯვარს გადავსახავ“. ეს ცდომილებაა. ეშვაკი-ანტიქრისტე, როდესაც თავისი სიმბოლოთი იმყოფება პასპორტზე, ხელზე ან ჩვენს შუბლზე, არ განიათლება იმითაც კი, თუკი მას ჯვარს დაგადებთ. პატიოსანი ჯვრის ძალა მხოლოდ მაშინა გვაქვს, როდესაც ვიძებდებით ნათლობის წმიდა ბეჭდით, როდესაც

განვეშორებით სატანას, შევუდგებით ქრისტესა, და კლებულობთ წმიდა ბეჭედს „სულიწმიდის ნიჭის ბეჭედს“.

უტყუარია, რომ ახალი ბაბილონის შენებლები მოქმედებენ „ყოვლითავე საცორითა სიცრუისათა“ (2თეს. 10), საქმაოდ მოხერხებულად ცვლიან რა ჰეშმარიტი ფასეულობების ცნებებს მოჩვენებითით. თანამედროვე რევოლუციონერ-რეფორმატორები, რომლებიც ანადგურებენ ყოველივე იმას, რის რეფორმირებასაც გვპირდებოდნენ, მივიღნენ გლობალური რევოლუციის დასკვნით ფაზასთან - თვით სახელმწიფოს ცნების რეფორმირებასთან. პირველ რიგში გვთავაზობენ, რომ სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებები შეიცვალოს კომერციული მომსახურებებით.

დემოკრატიის საფარველით მოქმედთ უნდა ვკითხოთ: რომელ „დემოკრატიის განვითარებაზე“ საუბარი, როდესაც ახალი მსოფლიო წესრიგის შემოქმედი ადამიანს ართმევნ თავისუფალი არჩევანის უფლებას, რომელსაც მას თვით ღმერთი აძლევს? კარდინალურ გადაწყვეტილებებს ღებულობენ საყოველთაო განხილვების გარეშე, სამთავრობო ბრძანებულებების საფუძველზე და კარგად აპრობირებული ტექნოლოგიების - „საზოგადოებრივი აზრის შესწავლის“, „საზოგადოებრივი მოსმენების“, „საპილოტო პროექტებისა“ და მსგავსთა საფუძველზე? ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებელი ეკლესია ყველაზე მაღალი ნდობის ფაქტორით სარგებლობს - თვით დასავლეთიდან დაფინანსებული გამოკვლევების საფუძველზე დასტურდება, რომ მას ნდობას უცხადებს მოსახლეობის 9 0%-ზე მეტი. მაშ, რომელ დემოკრატიაზეა საუბარი, როდესაც ხელისუფლება არ ისმენს ასეთი მაღალი ნდობის მანდატით აღჭურვილი ერთობის, ეკლესიის ხმასა და მოწოდებებს? ამიტომ გუწოდებთ ჩვენ ამ რევოლუციონერ-რეფორმატორებს არა დემოკრატიის, არამედ დემონოკრატიის მაშენებლებს.

რომელ დემოკრატიაზეა საუბარი, როდესაც ყველაზე უხეში ფორმებით ხდება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის - უდანაშაულობის პრეზუმციის - უგულებელყოფა. მის მაგივრად შემოაქვთ დამნაშავეობის პრეზუმციის პრინციპი - ყველა თავისუფალი მოქალაქე დაბადებიდანვე გამოცხადებულია პოტენციურ დამნაშავედ და, ახალი მსოფლიო წესრიგის შემოქმედთა თქმით, ამიტომაა „აუცილებელი“, განხორციელდეს ადამიანთა საყოველთაო კონტროლი, მათი თვალვალი. ეს შემოქმედი კი სულ უფრო შორსა და შორს მიღიან. ევროკომისია (ევროკავშირის მთავრობა) აცხადებს, რომ ფართოდ უნდა გავრცელდეს ადამიანის სხეულში იმ მიკროპროცესორული მოწყობილობის დანერგვა, რომელმაც უნდა შეასრულოს პიროვნების დამადასტურებელი მოწმობის

ფუნქცია, დამყრებული იმ საიდენტიფიკაციო ნომრის გამოყენებაზე, რომლის მატარებელიცაა მიკროჩიპი, და რომელსაც ოფიციალურად „ადამიანის შტრიხ-კოდი” ეწოდება. ასევე, არ არის შემთხვევით, რომ აშშ-სა და ევროპაში ინერგება ლაზერული სხივებით ადამიანის სხეულზე შტრიხ-კოდის დატანის ტექნოლოგია. ამგარად, უკვე აღარც მაღავენ, რომ პიროვნების ციფრული იდენტიფიკაციის პროცესი დასრულდება „ნიშნის, ანუ მხედვის სახელის, ან მისი რიცხვითი სახელის” დატანით, როგორც ეს აღნიშნულია აპოკალიფიშში.

თავად განსაჯეთ: მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების ეთიკის მე-20 ევროპული ჯგუფის დასკვნაში, რომელიც 2005 წ. ევროკომისიაში წარადგინეს და შეეხება „საინფორმაციო-კომუნიკაციური საშუალებების ადამიანის სხეულში ინპლანტაციის ეთიკის ასპექტებს”, ნათქვამია: „თანამედროვე საზოგადოება იმ ცვლილებების პირისპირ დადგა, რომლებსაც უნდა დაექვემდებაროს ადამიანური ბუნება. აი, პროვერსის მორიგი ეტაპი - ვიზუალური და ბიომეტრიის, ასევე ადამიანის სხეულში დანერვილი სახვადასხვა ელექტრონული საშუალებების, კანქებისა და სმარტ-ნაჭერების საშუალებებით ადამიანური დაკვირვების შედევად ადამიანის პიროვნება იცვლება იმდენად, რომ ადამიანები სულ უფრო და უფრო ხდებიან ქსელური პიროვნებები. ასეთ პიროვნებებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ დრო და დრო მიიღონ და გადასცენ ისეთი სიგნალები, რომლებიც ნებას რთავენ გადადგილებას, აკონტროლებენ ჩვევებსა და იმ კონტაქტებს, რომლებიც ეჭვებებარებან თვალთვალსა და შეფასებას. ამან უნდა შეცვალოს ადამიანის ავტონომიის მნიშვნელობა და შინაარსი (არსი). . . ჩვენს საზოგადოებაში სხეული - ეს ნედლეულია, რომელიც შეიძლება შეიცვალოს. მისით შეიძლება მანიპულირება, რათა აღდვეს ფუნქციები, რომლებიც მან დაკარგა ან შეიძინოს ჯერ უცნობი ფუნქციები, რომელთა შესახებ მხოლოდ ის შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი შეიძლება არსებობდნენ. . . ჩვენ საქმე ორივე ტექნოლოგიასთან უნდა გვქონდეს, როვორიცაა: უნარის აღდვენა და უნარის გაუმჯობესება, სხეულისთვის მეცნიერული ტექნოლოგიების საშუალებით, რომელთაც შეუძლიათ განავითარონ და შეცვალონ სხეულზე ზრუნვის კონცეფცია, რაც გვაუწყებს „კიბორგების“ - პოსტადამიანური სხეულების გამოჩენას. . . ეს „გარღაქმნის განზრახულობა“ უშვებს სამეცნიერო და ტექნოლოგიური ქმედებებისა და აღმოჩენების სხვადასხვა სახეობს. ადამიანის სხეულში ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ინპლანტაციებს შეუძლიათ ითამაშონ მთავარი როლი ისეთ საკითხებში, როვორიცაა ჯანდაცვა, მეტიც, შეუძლიათ მიგვიყვანონ ბიოლოგიური და ფიზიკური შესაძლებლობების გაძლიერებასთან. მომავალში

ექსტრაპოლირებით, ამ ლოგიკას შეუძლია მივვიყვანოს თვით ადამიანის რასის ტრანსფორმაციასთან” (http://ec.europa.eu/european_group_ethics/publications/docs/avis20compl_en.pdf).

ადამიანის ბიომეტრიული პარამეტრების მოკრეფა და მათი ელექტრონულ-საიდენტიფიკაციო და საუთენტიფიკაციო მოწყობილობებსა და მონაცემთა ბაზაში მოთავსება იდენტიფიკაციისა და აუთენტიფიკაციისათვის მათი შემდგომი გამოყენებისათვის პირდაპირ ხელყოფს ადამიანის ღირსებას, ასევე, სხვა კონსტიტუციურ ნორმებს - თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას, პირადი ცხოვრების, პირადი და ოჯახური საიდუმლოების ხელშეუხებლობის უფლებას, ღირსებისა და კარგი სახელის დაცვის უფლებას, თავისუფალი სინდისის უფლებას, რელიგიური მრწამსისა და მის შესაბამისად მოქმედების უფლებას, ასევე, პიროვნებისა და საზოგადოების მთელ რიგ სხვა კონსტიტუციურ უფლებებს. ეს ის უფლებებია, რომელთა შეზღუდვა სახელმწიფო თვით საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც კი არ ხდება. ამგვარად, მრავალპარამეტრიანი ბიომეტრიული დოკუმენტების დანერგვა (აღარაფერს ვამბობთ ადამიანის სხეულში ელექტრონული მოწყობილობების ინპლანტაციაზე) პრაქტიკულად არის ქმედება, რომელიც მიმართულია მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ, მი პრინციპებისა, რომელებიც არის ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის საფუძველთა საფუძველი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ უკვე მიმდინარე ეტაზე ხელისუფლების წინაშე დაისვას საკითხი: მიღებულ იქნეს საკანონმდებლო ნორმა, რომელიც აკრძალავს მოქალაქეთა იძულებას, გამოიყენონ პერსონალური მონაცემებისა და პირადი კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ მონაცემების მოკრების, დამუშავებისა და აღრიცხვის ავტომატიზირებული საშუალებები, რომელთა გამოყენება ეწინააღმდეგება პიროვნების რელიგიურ მრწამსისა და სხვა რწმენებს. კანონით უნდა აკრძალოს მოქალაქეთა იძულება, მიიღონ და გამოიყენონ ადამიანის იდენტიფიკაციის ნებისმიერი ავტომატიზებული საშუალება. მრავალი მილიონი მორწმუნე დარწმუნებულია, რომ მათ არ უნდა ატარონ კომპიუტერული სახელები, არ უნდა იყენენ რაიმე საიდენტიფიკაციო ნომრისა თუ კოდის, ნაჭდევისა და ჩიპის მატარებელი, არ უნდა გახდნენ „ბიომეტრები“. მათ სურთ იცხოვრონ ღმრთის მცნებებით, და არა ანტიადამიანური „ქსელური ლოგიკის“ წესების შესაბამისად.

ამ თავის დასასრულს აღვნიშნავთ, რომ სწორედ გლობალიზაციის არსის გამოაშკარავების საფუძველზე ვამბობთ, რომ გლობალიზაცია აპოკალიფსური პროცესია, რომელსაც კაცობრიობა ანტიქრისტეში

გლობალიზებისა და ინტეგრირებისკენ მიჰყავს. მხოლოდ მართლმადიდებლობას აქვს ჭეშმარიტი ცოდნა აპოკალიფური პროცესების შესახებ, რაც წინასწარმეტყველურად ცხადდება და სულ უფრო აშკარა და საცნაური ხდება; სწორედ მართლმადიდებლობას აქვს ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა გადაირჩინოს თავი პიროვნებამ ანტიქრისტეს მონებისაგან, ხოლო სული - წარწყმედისაგან. მართლმადიდებლობაა ერთადერთი ნამდვილი წინააღმდეგობა ანტიქრისტესკენ მიმავალ გზაზე, რასაც ახალი მსოფლიო წესრიგის შემოქმედი ღიად და ცხადად აღნიშნავენ (გაიხსენეთ იგივე ბჟეზინსკის გამონათქმები იმის შესახებ, რომ „კომუნიზმის შემდგომ დედამიწაზე ბოლო მოსაშორებელი სნეულება მართლმადიდებლობაა“). ამიტომ საქართველომ, ისევე როგორც ნებისმიერმა მართლმადიდებლურმა ქვეყანამ, სწორედ მართლმადიდებლობა უნდა აქციოს თავისი ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინის ქვაკუთხედად, პიროვნული თავისუფლების გარანტად, საზოგადოებრივი ცხოვრების ქცევის კოდექსად და პიროვნების მიერ სულის ცხონების ჭეშმარიტ გზად.

3. ეროვნული სახელმწიფოები გლობალიზმის ეპოქაში

გლობალიზმის იდეის განხორციელების გზაზე ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა პიროვნული ღმერთის აღმსარებელი რელიგიების მატარებელი ერებისა და ეროვნული სახელმწიფოების განადგურება. ხოლო უმთავრესი და საბოლოო მიზანი - ჭეშმარიტი სარწმუნოების, მართლმადიდებლობის, აღმსარებელი ერებისა და სახელმწიფოების სულიერი და ფიზიკური გენოციდი. ამ მიზნის მისაღწევად ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება ქმედებანი: ა) ინსპირირებული და მართული ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გზით ასეთი სახელმწიფოების დაშლა-დანაწევრება და ამ კონფლიქტების თანმდევი ერის ფიზიკური გენოციდი (კოსოვო, აფხაზეთი, სამაჩაბლო) და ბ) მსოფლიო ზეწოლით ასეთ ქვეწების ხელისუფლებაში და ადგილობრივი ეკლესიების იერარქიაში ისეთი პიროვნებების მოყვანა და ხელშეწყობა, რომლებიც განშეჭვალულნი იქნებიან და იხელმძღვანელებენ ანტიმართლმადიდებლური, პანეკუმენისტური და მასონურ-იუდეური იდეოლოგიებით.

ანტიმართლმადიდებლური გეგმის განხორციელება მიმდინარეობს როგორც ქრისტეს (მართლმადიდებელი) ეკლესიის ფარგლებს გარეთ, ასევე მის შიგნით. ეს პროცესი სულ უფრო მასშტაბური ხდება: ეკუმენიზმისა და პანეკუმენიზმის პროპაგანდა ფართო ფრონტით მიმდინარეობს. ამისთვის მომართულია მძლავრი საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც იქცნენ ანტიმართლმადიდებლური იდეოლოგიების

პროპაგანდის ინსტრუმენტებად. საგანმანათლებლო სივრცეში ინერგება ანტიმართლმადიდებლური ცნობიერება, ანტიეროვნული ღირებულებებისა და ამორალური ქცევის შემცველი სწავლებანი, პროგრამები და სახელმძღვანელოები. მოზარდი თაობის გარევნა და დეგრადაცია ერთ-ერთ მთავარ მიზნად არის დასახული. ეკლესიის შიგნითაც ხდება ძალების მობილიზება ეკლესიის რეფორმაციისათვის, სიახლეების შემოტანისა და მართლმადიდებლური ცნობიერების მოშლისათვის. ეკლესიის შემდგომი რღვევის ნაბიჯად უნდა იქცეს ე.წ. მე-8 მსოფლიო კრება, რომელიც იქნება განდგომილებისა და ავაზაკთა კრება¹⁾. გლობალისტ-ლიბერალები თავის მოკავშირეებს პოულობენ არა მხოლოდ რიგით სამღვდელოებაში, არამედ იერარქებს შორისაც. ქართულ სინამდვილეში ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით 2004-2005 წლებში დაიწყო, თუმცა მაშინ ე.წ. „კმარელი“ სამღვდელოებისა და ეპისკოპოსების მცირე ჯგუფის დესტრუქციულ ქმედებას მათთვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. 2010 წლის ბოლოსა და 2011 წლის დასაწყისისათვის იგივე ძალები კვლავ იწყებენ გააქტიურებას. პროცესი მიმდინარეობს ხელისუფლების მიერ ეკლესიისა და მისი სწავლების სიწმინდის დამცველთა დევნის, რეპრესიებისა და დაშინების ფონზე. ამჯერად პერსონალიების დასახელებისაგან თავს ვიკავებთ²⁾.

მართლმადიდებლური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდოლოგიის შესახებ ყველაზე ნათლად და ღიად განცხადებულია ე.წ. დალესის გეგმაში, რომელიც დღეს მოქმედებს მოდერნიზირებული სახით. თუ თვალს გადავავლებთ ამ გეგმას, ნათელი გახდება, რომ დღეს ჩვენსა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე მრავალი პროცესი სწორედ „დალესის დოქტრინის“ სქემით ხორციელდება. აი, მოკლე ამონარიდი დალესის გეგმიდან:

„პატარ-პატარა ეპიზოდებით ჩატარდება გრანდიოზული ტრაგედია ყველაზე დაუმორჩილებელი ერის დაღუპვისა და მოხდება საბოლოოდ ჩახშობა მისი თვითმყოფადობისა. მაგალითად, ლიტერატურიდან და ხელოვნებიდან ჩვენ თანათან მოვწამლავთ მათ სიციალურ არსეს, დავავიწყებთ მხატვრებს ხატვას, ჩავუკლავთ მათ სურვილს შექმნან

1) ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ჩვენი წიგნი „VIII მსოფლიო კრება - განდგომილებისა და ავაზაკთა კრება“, თბილისი, 1010წ.

2) ანტიეკლესიური პროცესით დაინტერესებულ პირებს მივუთითებთ რამდენიმე წლის წინ ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ წერილებზე: „იუდას აჩრდილი საქართველოში“, ქრონიკა, №14(126), 5-11აპრილი 2004წ.; „ოდეს მარილი განქარდეს“, GT, №16(279), 22.04.2004წ.; „იუდას აჩრდილი საქართველოში (2)“, GT, №18(281), 06.05.2004წ.

ღირებული ღირებული, თეატრი, კინო. ყველაფერი ასახავს და განადიდებს ყველაზე უღირს ადამიანურ გრძნობებს. ჩვენ მხარში ამოვუდგებით და ავამაღლებთ იმ ე.წ. მხატვრებს, რომლებიც ადამიანურ შემეცნებაში ძალდატანებით ჩანერგავენ სექსის, ძალადობას, საღიზმის, ღალატის კულტს, ერთი სიტყვით – ყველანაირ გარყვნილებას. სახელმწიფოს მართვაში ჩვენ შევქმნით ქაოსს და გაურკვევლობას. . . ჩვენ შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და მუდმივად ხელს შევუწყობთ ჩინოვნიკებს მექრთამეობაში, გამოთაყვანებასა და უპრინციპობაში. წესიერებასა და პატიოსნებას დასცინებებს და არავის დასტირდება, ის იქნება წარსულის გადმონაშთი. თავხედობა და უსინდისობა, ტყუილი და სიცრუე, ლოთობა და ნარკომანია, დაღლატი, პირუტყვული შიში ერთმანეთისადმი და უსირცხვილობა, გამცემლობა, ნაციონალიზმი და ზიზღი ერთა შორის, – აი, ამას დაგამკვიდრებთ შეუმჩნევლად, აღვილობრივი, კომპლექსით შეპყრობილი ახალგაზრდების მეშვეობით. ცოტანი თუ მიხვდებიან ან ჩაწვდებიან, თუ რა ხდება მათ თავზე. მავრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ ჩავაყენებთ გამოუვალ მდგომარეობაში, დასაცინად გავუხდით საქმეს, საზოგადოების მუწუად გამოვაცხადებინებთ. ძირფესვიანად აღმოვფეროთ სულიერ ფესვებს და ერის ზნეობის საფუძვლებს ფეხქვეშ გავათელინებთ ჩვენგან მოსყიდულებს. ასე თანდათან შევარყევთ და დავასუსტებთ თაობებს. ბავშვობიდან დავიწყებთ ადამიანების გარყვნას – მთავარი ჩვენი საქმის წარმატებისთვის არის ახალგაზრდობის გახრწნა ჩვენგან დაფინანსებული ფილმებით, სერიალებით, წიგნებით, პორნოგრაფიად ქცეული ჟურნალ-გაზეთებით. ჩვენ მათგან შევქმნით ცაინიკოსებს, პედერასტებს, კოსმოპოლიტებს. აი, ასე იქნება თანდათანობით”.

ვფიქრობთ, რომ კომენტარი ზედმეტია. ამ გეგმის გაცნობის შემდეგ მრავალი რამ ხდება საცნაური. აი, რატომ ცდილობენ ერის, განსაკუთრებით, მოზარდი თაობის გარყვნას; აი, რატომ გაატარეს არა განათლების, არამედ გაუნათლებლობისა და გარყვნის რეფორმა, - გატარებული რეფორმის მანკიერებას უკვე ყველა ხედავს; აი, რატომ მიიღეს „თავისუფლების ინსტიტუტის” მიერ შემუშავებული „ქცევის კოდექსი”, რომელმაც საბოლოოდ დააკანონა გარყვნილება, ძალადობა, პომოსექსუალიზმისა და ნარკომანიის პროპაგანდა ტელესივრცესა და სხვა საინფორმაციო სივრცეებში, რის შედეგადაც გარყვნილება ნიაღვარივით მოედინება საინფორმაციო საშუალებებით, განსაკუთრებით, ტელევიზით, რაც წარწყმდებოთ და წალეკვით ემუქრება ახალგაზრდობასა და მთელ ერს; აი, რატომ ცდილობენ გეიაღლუმების ჩატარებასა და სატანური რიტუალების, „პელოუინებისა” და მისი მსგავსების დანერგვას;

აი. რატომ უწოდებენ სარწმუნოების, ზნეობრიობისა და ეროვნული ცნობიერების დამცველებს ფანატიკოსებს, ჩამორჩენილებს, ბნელებს, ექსტრემისტებს; აი, რატომ იჭერენ სარწმუნოებისა და ეროვნული ღირსების დამცველ ახალგაზრდებს და ციხეებში ამწყვდევენ მათ შეთითხნილი ბრალდებით და ცრუმოწმეთა (განსაკუთრებით - ცრუმოწმე პოლიციელთა) დახმარებით; აი, რატომ ღებულობენ ჩაშვებისა და მის მსგავს კანონებს, ხოლო დღის წესრიგშ აუქნებენ სოდომ-გომორული ცოდვის, ერთსქესიანი ქორწინებებისა და ნარკომანიის ლეგალიზების შესახებ კანონებს; აი, რატომ ხდება ერის გენოციდის, დეგრადაციისა და გადაგვარების მომტანი პროგრამების (კონტრაცეუციის, აბორტების ლიბერალიზაციის, პროსტიტუციის ლეგალიზების, ე.წ. ჩანაცვლებისა და მისთ. პროგრამების) ხელშეწყობა და განხორციელება. კიდევ მრავალი ასეთი „აი“ შეგვიძლია დაგასახელოთ და ამით ყველაფერი ცხადი ხდება: თუ რა არის ახალი მსოფლიო წესრიგის მიზანი და როგორია მისი მიღწევის გზები და მეთოდები.

ზემოთმოყვანილი დალების ღოქტრინიდან ერთი საგულისხმო დასკვნის გაქოთება შეიძლება, რაც სწორედ ჩვენს განსახილველ თემას, „მართლმადიდებლობასა და ეროვნულობას“ შეეხება: ის რასაც ებრძვის ახალი მსოფლიო წესრიგი ჩვენს ქვეყანაში და ერის ყოფა-ცხოვრებაში, სწორედ ის არის ამ ერის სულის რაობისა და მისი ცნობიერების განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანი, ფაქტორი, ინდიკატორი თუ იდენტიფიკატორი. საქართველოსთვის ეს ფაქტორებია მართლმადიდებლობა და ეროვნულობა. ამიტომ საინტერესოა ამ ორი ძირითადი ნიშნის ურთიერთმიმართებისა და მიზან-შედეგობრიობის საკითხი, რაც აუცილებლად უკავშირდება ჩვენი ერისა და ეკლესიის ისტორიულ გზასა და სულიერ-მატერიალურ მემკვიდრეობას, რაზეც ახლა ვისაუბრებთ. კერძოდ, ეს საკითხებია:

4. ისტორიული მემკვიდრეობა; მართლმადიდებლობა და ეროვნულობა; საქართველოს ისტორიული მისია; საქართველოს სულიერი და სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ქაკუთხედი; მიმართება სხვა ქეყნებთან, რელიგიებსა და ეთნიკურ ჯგუფებთან

საქართველოს ოცსაუკუნოვანი ქრისტიანული ცხოვრების ისტორიის მანძილზე მართლმადიდებლობა და ქართველობა, ანუ ეროვნულობა თითქმის სინონიმებად ჩამოყალიბდა. იდენტურობის ეს იდეა უკვე პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში ყალიბდება, ვითარცა ღოქტრინა, ვითარცა განსაზღვრება და სულიერ-სოციალურ-კულტურული კატეგორია. ყველაზე

მკაფიოდ ეს გადმოცემულია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” აღწერაში, სადაც სიტყვა-სიტყვით ნათქვამია შემდეგი: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების. ხოლო „კვირიელე სონი” ბერძნულად³⁾ ითქვამის”. „წერილ არს: „ტვირთი განწესებული ყოფილი ნავსა, უკეთე დაუმძმი, დაანთქას, და უკრთუ სუბუქად იყოს, ქართა და ღელვათა წარიტაცონ”. ეგრეთცა ტვირთი შეკულისა და წესი ქრისტეანობისა, რომელი აწ ქვეყანას ჩვენსა უკურიეს, ფრიად კეთილ არს და ღმერთი დაკვერცებულ არს”. ანუ, მერჩულეს დროინდელ საქართველოში უკვე არსებობდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული ღოქტრინა იმის შესახებ, რომ ქართლად, ღლევანდელი გაგებით საქართველოდ, ის ქვეყანა იწოდება, რომელიც ქრისტიანობის (ღლევანდელი გაგებით - მართლმადიდებლობის) მპყრობელია, და არა ოდენ ნომინალურად, არმედ ცოცხალი სარწმუნოების მპყრობელი, წირვა-ლოცვების აღმასრულებელი და ღმრთისმსახურებით ღმრთის მაღიდებელი. სწორედ ასეთი ქვეყანა და ასეთი აღმსარებლობაა „ფრიად კეთილი” და ასეთი ქვეყნის მხილველი „ღმერთი დაკვერცებულ არს”.

ქართველობისა და მართლმადიდებლობის იდენტურობის იდეა მხოლოდ ელიტარულ, სააზროვნებო, ლიტერატურულ-ფილოსოფიურ სივრცეში არ იყო ჩამოყალიბებული და მიღებული. ამ იდეას გამოხატულებას ჩვენ ვპოულობთ ფართო წრეებში, თვითი ყოფით დონეზეც. ამის ნათელი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ მონოფიზიტური, სომხური წესის მიმდევარ ეთნიკურ ქართველებს ხალხი სომხებს უწიდებდა, მუსულმან ქართველებს - თათრებს, ხოლო ე.წ. კათოლიკურ, ანუ ლათინთა სარწმუნოების

3), „კვირიელე სონი” ამ შემთხვევაში ზოგადად გალობას აღნიშნავს და არა ერთ კვერცეს, – ერთი კერძო კვერცესით არის იდენტურობის დადასტურება ყოველგვარ აზრს მოკლებულია. ასევე არ უნდა გამოიწვიოს გაუგებრობა სიტყვებმა „ბერძნულად აღესრულების”. ქართულ ისტორიკოგრაფიულ წყრილებში ღვთისმსახურების ბერძნული წესი აღნიშნავდა ღვთისმსახურებას არა ბერძნულ ენაზე, არამედ საკუთრივ მართლმადიდებლურ მსახურებას, – ყოველ ადგილობრივ ეკლესიაში, რა თქმა უნდა, ადგილობრივ ენაზე. მსგავსად, „ბერძნულად აღესრულების” აღნიშნავს, რომ იგალობებოდა მართლმადიდებლური ეკლესის კანონიკური გალობა, საბატიოდის მონასტერში ეკლესისთვის დადგენილი კანონიკითა და ტიპიკონით; ეს ტიპიკონი კი წმ. გრიგოლ ხანძთელმა საგანგებოდ ჩამოატანინა საბატიოდის მონასტრიდნ და დანერგა საქართველოში. სწორედ ამ ტიპიკონით აღესრულება ღლესაც ღვთისმსახურება საქართველოში. რაც შეეხება კანონიკურ გალობას, ტიპიკონით კანონიკურ ვალობად ეკლესიაში წმ. იოანე დამასკელისული რვახმათას კანონი (ოქტოიხოსი) არის დადგენილი, რაც უკლებლივ და ზედმიწვნითაა ასახული ყველა საღვთისმსახურო წიგნში.

միմլեզրեն - յորանցենք. այս ազգնունացո, ռոմ յև ըստությեն, - և մենք, տատարո դա յորանցո, - առ ոյո շնորհուածո Շնոնարևուս մարդարյելու. Ռոգուո ხալքո ամ և անունու առա զոնմես դասամբուրյելուած, առամյեց և վիշորյեց օգենթյուրոնքուս նունու դամադասթյուրյելուած եմարոնքա.

Իզենո տեմուս ցանենուա օւժորուալ քրուլի շնճա եքյեկուա. ամութոմ ազգնունացո սապուալուառու ցրոնքու զայլի և, ռոմ օւժորուալալ սայարտալու գրագուանա, որուունգուրյելու ըմրուումուսառասա դա ներոնքուառանչե. յարտալու խալքու ցրոնքուրյեն դա գրագուույն դա ջայսինքուունա յրուսպուառուանչե, ռոմլուս ուսապայնուանո օւժորուա նատլալ մեթյուալունք, ռոմ յըրս մրազալու մելուքուա զամուազուա, մացրամ առասքուա շեցուա դա յըրու մոմազալի շեցուա մուս շմտավրյես լորսյենքուա դա լորյուլուալունք, - լմրուա, պուզուագիմուա լմրուամմունքու, վմոնդանյենքուա դա վոնապրյենքուա, ոչանքուա դա մմունքու, իզենո սումոնդյենքուա շեցուանք, օւժորուալ պետուրյենքուա լուցուանք յըրանչե իզեն, յարտալունք, առա ցայքս մարալու յրոնոմոյուրու ձուրյունուալո, մացրամ ցայքս լորսյենք դա օւյուու սումոնդյենք, ռոմլունքու շոյրո մագլումուսուու դա մալմուսուու, եմուր շեմտեզեցամու յըր, մլուզամուսուուու, զուար սամենուա ու յրոնոմոյուրու սոմմուավրյենք. իզեն ցարշեմո վարմուունքուան դա ցայէրանան մմերուու, ռոմլունքու ցամունքուուտ ցուերմունք, մացրամ իզեն լուցուա զարսյենք, շեցուանիշյենք սարվանդուա, մեռա դա ուուտմպուցագուա.

մամյուլունքուա, პատրուութինք, პորյուլ ռոգին, օմաս ցուլուսնմուա, ռոմ պատրու մուցացու իզենս սանելուան վոնապրյենք, մատ լցանիլսա դա ամացս, մատ ցրոնքուրյենքուա դա աղմսարյելունք, եռուու շպուրյելուսա մատ մուրյանուունք, ռատո իզենու զուցնետ մատու լորսյեւլու մեմբարյունո, մատու մտամուալոն դա մատու սայմուս ցամշրմելունք. իզենո յիզենու ածեռլություն շմրազուլունք ալուարյենք օւժորուալ մեմբարյունուունք, առա մեռուու գրերուուրու մատյուրու ալուր, առամյեց և յուլուր, ներոնքու, կայլ կայլ կայլ և. ալուարյենք օւժորուալ համոյալունք մեմբարյունք մետուունք նուունք, նուունք յուցեալունք ամ մետուունք մետուունք մետուունք դա մեյացայքուլունք - սայարտալու սամուոյուրյուն յըլուսուա. պատրու սցում ամ յըլուսուա լուցմատյուրա յըլունք յըրուս, մունինք յըլուսուա իզենո յըրուս և յըլուսուա յըրուս, նուունք մատուունք մատուունք դա սամարտլուանք յըրուս յըլուսուա յըրուս մրազալսայուրյուն օւժորուա ասանյուն դա այցանուու ոյո սանելմուույունք ռանցի դա մուս ցարանքա մուրուցեյլու մեյզ ցայըլունք օւժորուա և վիշորյեց ամ ց նու օշա ՝մլուզա սայցուրյուն’ դա ամ ց նու մացալմա սայարտալու սանելմուույունք անցագուա, პալուություրա յըրուս, յըրուս յըրուս, յըրուս յըրուս,

სოციალურად, და, რაც მთავარია, ზნეობრივად, უმაღლეს საფეხურს მიაღწია
თავის ოქროს ხანაში.

რაც შეეხება მაღლიერებასა და სამართლიანობას ჩვენს დროში, იგი,
ნაწილობრივ, იურიდიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით აისახა (იმედია,
მომავალში მაინც ამოქმედება) სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის
დადგებულ კონსტიტუციურ შეთანხმებაში, რომლის მიხედვითაც
აღიარებულია ეკლესის განსაკუთრებული როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში,
და აქედან გამომდინარე, აღიარებულია მისი, როგორც ერის სულიერი
წინამდლოლის უფლებებიც. ამიტომ, ის, ვინც უგულებელყოფს და
ეწინააღმდეგება ამ შეთანხმების ამოქმედებას, ვერ იქნება ჩვენი ქვეყნის,
ჩვენი წინაპრების სრულფასოვანი მემკვიდრე, არა მხოლოდ სულიერი,
არამედ უკვე სამართლებრივი თვალსაზრისითაც.

მართლმადიდებლობა - როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი
იდეოლოგის საფუძველი! - ასე გვესახება საქართველოს ეროვნული
დოქტრინის მთავარი დებულება. მართლმადიდებლობა - როგორც
ეროვნული უსაფრთხოების ქაკუთხედი! - ასე გვესახება საქართველოსა
და ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი
გზა. ასეთი იდეოლოგია, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით,
იქნება არა ორიენტირებული, არამედ დაბალანსებული, თვითმყოფადი
ქვეყნის თვითმყოფადი პოლიტიკა. ისტორიულად სწორედ ასეთი
გამოცდილებაა საქართველოსთვის ყველაზე წარმატებული და
გასაზიარებელი, კერძოდ: ავთენტური და არა - მკვეთრად ვამოხატული
დასავლური, აღმოსავლური თუ ჩრდილოური ორიენტაციები; არა -
მკვეთრი გადახრა რომელიმე მიმართულებით, არამედ - ბუნებრივად
განსაზღვრული გეოპოლიტიკური და გეოკულტურული ხიდის როლის
შესრულება; არა - ადაპტირება, არამედ - თვითმყოფადობა; შემცნება
და არა - გადმოლება; მართლმადიდებლურ-ეროვნულ პრიზმაში გარდასახვა
და არა კომპილირება. სწორედ ასეთი პოლიტიკა ქმნის საუკეთესო
პირობებს ჩვენი ეროვნულობისა და სარწმუნოების სიმინდის დაცვისათვის,
რაც უნდა წარმოადგენდეს ჩვენს უპირველეს და უმაღლეს დანიშნულებას.

ეს იდეა საქართველოს გარე სამყაროსაგან იზოლაციაში არ მოაქცევს.
საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და, ცხადია, ქართველი
ხალხი, მართლაც, საგანგებო, განსაკუთრებული მისიის მატარებელია.
გეოპოლიტიკურად ეს მისია დამაკავშირებელი ხიდის არსებობის
ობიექტური აუცილებლობიდან მომდინარეობს და მისი განხორციელება
საქართველოს ხელეწიფება. სულიერ-ზნეობრივი თვალსაზრისით კი, ეს
მისია იქსუ ქრისტეს მეორედ მოსვლამდე მართლმადიდებლობის უბიწოდ
დაცვასა და გავრცელებაში მდგომარეობს. ამაზე მეტყველებს ქართველ

მეფეთა წოდება, „მესიის მახვილი”, და ქრისტესთვის წამებული ჩვენი ერის მთელი ისტორია.

„ქრისტე ღმერთი ჯვარს უცა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს უცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადაუუღებელ მკერდი და ამ მეტად ზედ, როგორც კლდეზე, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვინარეთ და კირად ჩვენი სისწლი და ბჭეთა ჯოვოხეთისათვის ვერ შემუსრეს იგი” - ასე განსაზღვრავს წმ. ილია მართალი ქართული იდეოლოგიის ქვაკუთხედს.

ჩვენი ეკლესიის ჯვრისმტკირთველობაზე მეტყველებს მის მიერ გადადგმული მართლმკვეთელური ნაბიჯი, როგორიცაა „ეკუმენისტური მოძრაობიდან”, ე.წ. მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან გამოსვლა, რითაც სხვა მართლმადიდებელ ერებს მართლაღმსარებლობისა და შეუპოვრობის მაგალითი მიეცათ. ამიტომ შეჰყურებს დღეს საქართველოს ადგილობრივ ეკლესიასა და მის მეთაურს იმედის თვალით ყოველი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი მთელ მსოფლიოში, ხოლო მტრის თვალით - ქრისტესმტყუვარნი და შინაური თუ გარეული ღმრთისმგმობნი.

„საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმასრულებელი იქნება. კველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მაშ, გავხდეთ უფლის ნების თანაზიარნი და დიდი საქართველოს თანაშემოქმედნი!” - ასე განსაზღვრავს ჩვენი ერის სამოქმედო გეგმას ჩვენი ეკლესიის საჭეომპყრობელი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

მართლმადიდებლობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძვლად მიჩნევა ჩვენი ისტორიული უფლებაა, - იგი ზემოთ მოყვანილ მემკვიდრეობის პრინციპს ეფუძნება და არავის აქვს უფლება, ქართველ ხალხს ჩამოართვას ეს უფლება და აუკრძალოს ეს არჩევანი. იდეოლოგია, დაყარებული უაღრესად მშვიდობიან, ჰუმანურ და ზნეობრივ საფუძვლებზე, ოფიციალურად მისაღები უნდა იყოს როგორც საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენელთათვის, ასევე დანარჩენი მსოფლიოსათვის. ასეთი იდეოლოგიის მატარებელ ქვეყანაში ადგილი არ ექნება პიროვნების ზნეობრიობაზე დაფუძნებული უფლებების, რელიგიური გრძნობებისა და ეთნიკური ღირსების ხელყოფას.

მსოფლიო დგას ისტორიის გარდამტეხი მომენტის, ცივილიზაციების კონფლიქტის საშიშროების წინაშე. იმ ცივილიზაციებისა, რომელთაც განსხვავებულად ესმით ადამიანი და მისი დანიშნულება. ადამიანი, როგორც ღმრთის ხატი, განსაკუთრებულად ფასეული და ღირებულია. მისი ამ ღირებულების ხელყოფა არ შეიძლება. მას პატივს უნდა სცემდეს

სახელმწიფო, საზოგადოება და ყოველი ჩვენგანი. მარადიულ ზნეობრივ კანონს ადამიანის სულში მყარი საფუძველი აქვს, რომელიც არ არის დამოკიდებული კულტურაზე, ეროვნულობაზე, ცხოვრებისეულ გარემოებებზე. ადამიანის ბუნებაში ეს საფუძველი ჩადებულია შემოქმედის მიერ და ვლინდება სინდისტი. მაგრამ სინდისტის ხმა შეიძლება დაახშოს ცოდვაში. სწორედ ამიტომა მოწოდებული კეთილისა და ბორიტის გარჩევის ხელშესაწყობად რელიგიური ტრადიცია, მართლმადიდებლური ცნობიერება, რომლის პირველწყაროსაც ღმერთი წარმოადგენს. ადამიანის უფლებებს საფუძვლად ადამიანის ღირებულება, ფასულობა უდევს და ისინი მიმართული უნდა იყოს მისი ღირსების რეალიზაციისკენ. ამიტომ ადამიანის უფლებათა შინაარსი, არ შეიძლება, რომ არ იყოს ზნეობასთან დაკავშირებული. ამ უფლებათა ზნეობრიობისაგან მოწყვეტა მათ პროფანაციას წარმოადგენს, კინაიდან არ არსებობს უზნეო ღირსება.

ქრისტიანობაზე დაფუძნებული იდეოლოგიის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ მთელი ჩვენი ყოფა გამსჭვალული და გამდიდრებული იქნება მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებლური ტრადიციით. იგი ხელს შეუწყობს ოჯახის, როგორც სახელმწიფოს ქვაკუთხედის, აღორძინებას, ისეთი სათნოებისა და ტრადიციული ცხოვრების წესის დაცვასა და განმტკიცებას, როგორიცაა ქალწულება, ქორწინებამდე თავშეკავება და ქორწინებაში ერთგულება. იგი ხელს შეუწყობს მრავალშვილიანობასა და ერის გამრავლებას, რადგან ოჯახი მცირე ეკლესიაა და, რაც უფრო მრავალრიცხოვანია იგი, მთი უფრო ძლიერია. ამიტომ ჩვენ მრავალშვილიანობას ერის გადარჩენის ერთ-ერთ წინაპირობად მივიჩნევთ, ხოლო კონტრაცეფტურის, აბორტებს და ყველა სხვა სახის ოჯახის დაგეგმვის მეთოდოლოგიებს, ერის გენოციდის მზკვრულად ჩაფიქრებულ გეგმად და იდეოლოგიად.

ჩვენ ვაღიარებთ სიცოცხლის უფლებას სიკვდილის „უფლების“ წილ, აღმშენებლობის უფლებას – ნგრევის „უფლების“ საწინააღმდეგოდ, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას, იმ ზომით, რა ზომითაც ისინი ხელს უწყობენ პიროვნების სიკეთისკენ აღმასვლას, იცავენ მას, როგორც შიდა, ისე გარე ბოროტებისგან, რაც იძლევა ადამიანის პოზიტიური თვითრეალიზაციის საშუალებას. ამ თვალსაზრისით ჩვენ პატივს ვცემთ არა მხოლოდ სამოქალაქო, პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ, ასევე, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს. უფლებები და თავისუფლებები ადამიანის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ადამიანი, იღვწის რა თავისი ინტერესების განხორციელებისათვის, უნდა უფარდებდეს მათ მოყვასის, ადგილობრივი თემის, საზოგადოებისა და მთელი კაცობრიობის

პოზიტიურ ინტერესებს, რადგან ყოველივე პოზიტიური თანხმობაშია ღმერთთან.

საქართველოსთვის ისტორიულად უცხო იყო და არის რელიგიურ თუ ეთნიკურ ნიადაგზე დევნა-შევიწროება. ამიტომაც თანაცხოვრობდა აქ საუკუნეების მანძილზე შმვიდობიანად ამდენი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფი, თუნდაც, ჩვენი ორი მეზობლის, აზერბაიჯანისა და, განსაკუთრებით, სომხეთისაგან განსხვავებით. მაგალითისათვის, საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყნაა, სადაც ადგილი არ ჰქონია ანტისიმიტიზმის მოვლენას. ამასთა, თავიდანვე გასურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ თალმუდისტური და კაბალისტური იუდაიზმის, როგორც „მესიის“ შესახებ ცრუ სწავლების, ანუ ანტიქრისტეს რელიგიის მხილებით და უარყოფით ჩვენ სრულებითაც არ ვემიჯნებით ეთნიკურ იუდეველს - ებრაელს, რომელსაც ქრისტემ მოყვასი უწოდა და მცნებად დაგვიდო, შევიყვაროთ იგი - „ვითარცა თავი თვისი“. მოსეს რჯულის მიმდევარ იუდეველებთან ჩვენ ძმობისა და სიყვარულის 26 საუკუნოვანი ისტორია გვაკავშირებს. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ყველა კონფლიქტი, რაც საქართველოში განხორციელდა და იგემება, არის ინსპირირებული და მიზნად ისახავს საქართველოს დანაწევრებასა და მართლმადიდებლურ-ეროვნული ფაქტორის შესუსტებას.

არსებობს ფასეულობები, რომლებსაც ადამიანის უფლებებზე დაბლა ვერ დავაყენებთ. ასეთი ფასეულობებია: რწმენა, ზნეობა, სიწმინდეები, სამშობლო. როდესაც ეს ფასეულობები და ადამიანის უფლებათა განხორციელება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, საზოგადოება, სახელმწიფო და კანონი მათ ჰარმონიულ თანაფარდობას უნდა უზრუნველყოფდეს. არ შეიძლება, დაცუშვათ სიტუაციები, რომლის დროსაც ადამიანის უფლებათა განხორციელება თრგუნავს რწმენასა და ზნეობრივ ტრადიციებს, რასაც მივყავართ რელიგიური და ეროვნული გრძნობების, სათაყვანებელი სიწმინდეების შეურაცხყოფამდე, საფრთხეს უქმნის სამშობლოს არსებობას. საშიშად მიგვაჩნია ისეთი „უფლებების“ „გამოგონება“, რომლებიც აკანონებენ ისეთ ქცევებს, რომლებიც მიუღებელია ადგილობრივი ტრადიციული ზნეობისათვის და დაგმობილია რელიგიით.

ზოგიერთ „უფლებათა“ და „თავისუფლებათა“ მზაკვრული გამოყენებითა და უმცირესობათა უფლებების დაცვის საბაბით ცდილობენ დღეს საქართველოში ე.წ. ფსევდოლიბერალები ჩვენი ქვეყნის რელიგიური და ეთნიკური უმრავლესობის, მართლმადიდებელ ქართველთა უფლებების ხელყოფას. განსაკუთრებული მიზანმიმართებით ეს ქმედება ხორციელდება სიწმინდეთა გმობის პროპაგანდის, უზნეობის გავრცელებისა და მოზარდი თაობის გარეუნის მიმართულებით. ეს ხდება იმ დროს, როდესაც უმრავლესობის უფლებები (რომელთა საფუძველზეც ხდება, ძირითადში,

თავად საზოგადოების ინტერესების ფორმირება) დაცულია ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით, სადაც პირდაპირ წერია, რომ თავად სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით შეზღუდოს თვით ისეთი რელიგიისა და მომღვრებათა აღმსარებლობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს, მოსახლეობის ჯანმრთელობას ან ზნეობრიობას ან სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. აქედან გამომდინარე, თუკი ამა თუ იმ ეტაპზე სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ამგვარ დაცვას, მაშინ, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად საზოგადოებაა ვალდებული დაიცვას თავისი მომავალი თაობა. აქვე მოვიყვანთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილს, რომლის მიხედვითაც ამ პაქტზე ხელმომწერი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, ვალდებულებას იღებენ, პატივი სცენ მშობელთა თავისუფლებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამისის შესაბამისად. ამიტომ მართლმადიდებლურ-ეროვნული ქვეყნის სახელმწიფო იდეოლოგია ვერ დაუშვებს უმრავლესობის რელიგიური გრძნობებისა და სიწმინდეების შეურაცხყოფას, უზნეობის პროპაგანდასა და მომავალი თაობის გარყვნას, იქნება ეს განხორცილებული განათლების სფეროში თუ მასმედიის საშუალებებით.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დემოკრატია არ უგულებელყოფს და არ ებრძების ადგილობრივ, მაღალპუმანურ ფასეულობებზე დაფუძნებულ ტრადიციებსა და ეროვნულ-რელიგიურ ინსტიტუტებს, მითუმეტეს - დომინანტურ რელიგიას. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ, რიცხვსაც ხდება ძირითადი ფასეულობების ზელყოფა, მაშინ ქვეყანაში მოღვაწეობას იწყებენ ისეთი საზოგადოებრივი ჯვეუფები და ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ წინ აღუდგნენ გარედან თავსმოხვეულ იმ იდეოლოგიის გაგრცელებას, რომელიც ებრძების დამკვიდრებულ მსოფლიმედველობასა და ტრადიციებს. ზემოთ ხსნებული კონვენციებიდან გამომდინარე, ასეთი ორგანიზაციების მოღვაწეობა სავსებით დემოკრატიული და ლეგიტიმურია.

ჩვენ უარვყოთ ადამიანის უფლებების სფეროში ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას, ასევე - მცდელობებს, გამოიყენონ ეს უფლებები პოლიტიკური, იდეოლოგიური, სამხედრო და ეკონომიკური ინტერესების, ასევე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის თავს მოსახვევად.

ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ყველა კეთილი განზრახვის მქონე ძალასთან ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. ამ თანამშრომლობის განსაკუთრებულ სფეროებად უნდა იქცეს: ეროვნებებისა

და ეთნიკური ჯგუფების რელიგიური, კულტურული და ენობრივ უფლებათა დაცვა; აღმსარებლობის უფლებისა და აღმსარებელთა მიერ თავიანთი ცხოვრების წესის ქონის უფლების უზრუნველყოფა; ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე დანაშაულის მიმართ შეუწყნარებლობა; ხელისუფალთა და დამქირავებელთა მხრიდან განუკითხაობისაგან პიროვნების დაცვა; სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებზე ზრუნვა; ბავშვთა უფლებების დაცვა; თავისუფლებააღკვეთილ ადამიანებზე ზრუნვა; დესტრუქციული სექტების მსხვერპლთა დაცვა.

საქართველოში მართლმადიდებლობაზე დამყარებული ეროვნული იდეოლოგიის განხორციელება არ ხელყოფს ჩვენი საზოგადოების არც ერთი ფენის უფლებებს, არ აქცევს მათ „მეორეხარისხოვან“ მოქალაქეებად. მაგალითისათვის, მარხვის დღეებში არ აიკრძალება ხორცისა და რძის ნაწარმის გაყიდვა, არ განხორციელდება სხვა მსგავსი ქმედებანი, რომლებიც მოქალაქეს შეზღუდავს, იცხოვროს იმ წესით, რომელიც მას აქვს არჩეული და რომელიც, იმავდროულად, თავად არ ხელყოფს სხვათა უფლებებს, არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ წესრიგს, კვეყნის უსაფრთხოებასა და ზნეობრიობას. ჩვენ გშიმობთ, რომ ფანატიზმი სწორედ იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ ძალაუფლებას ღვთისმბრძოლი „ფსევდო-ლიბერალები“ დაისაკუთრებენ, რომლებიც, ტოლერანტობის საფარველით შებურვილნი, ყველაზე არატოლერანტი და შეუწყნარებელი კასტაა, უზნეო და ფანატიზმის სულით განმსჭვალული ხროვაა. სწორედ ეს იქნება სატანური სიბნელე და სულიერი ტერორი, რომლის დანერგვასც „თავისუფლების“, „დემოკრატიისა“ და „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საბაბით ფსევდოლიბერალები და ფსევდოდემოკრატები ცდილობენ.

გლობალისტური პრიცესის გზაზე „ინტერნაციონალური“ და „ინტერკონფესიური“ სახელმწიფოს შექმნის იდეოლოგია და პროპაგანდა საზოგადოების ყველა ფენისთვის არის გათვლილი. ჩვენთვის, თითოეული ქართველისათვის, ამ პროცესების ცოდნა აუცილებელია, რადგან სერიოზული არჩევანის წინაშე ვდებით - ხელადებით ჩავებათ მასში, თუ მაქსიმალურად შევეცადოთ, შევინარჩუნოთ საკუთარი სახე, თვითმყოფადი კულტურა და ტრადიციები. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თავისი სახელმწიფოებრივი დიდების წლებში საქართველოს გააჩნდა ავთენტური, არაორიენტირებული იდეოლოგია და პოლიტიკა. ისტორიიდან დასტურდება, რომ ნებისმიერი მიმართულებით იდეოლოგიის ორიენტირება იწვევდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასა და ქვეყნის დანაწევრებას. თუნდაც ახლო ისტორიიდან გავიხსენოთ, რომ ერთი ასეთი დანაწევრება საქართველოს ჩრდილოურმა ორიენტაციამ შეიწირა: დაიკარგა საინგილო, ლორეტაშირი, სოჭის მხარე, შემდგომ საზღვარმა მნიშვნელოვნად გადმოიწია ყველა მხრიდან: ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან, და სამხრეთიდან. უახლესი დანაწევრება კი

დაკავშირებულია მკვეთრ დასავლურ ორიენტაციასთან - ჯერჯერობით დაკარგულია აფხაზეთი და სამაჩაბლო, არის საშიშროება საქართველოდან ჯავახეთის ჩამოცილებისა, სახიფათო განცხადებები კეთდება მუსულმანური ფაქტორის წინ წამოწევასთან, აჭარისა და ბათუმის ახალი როლისა და მისის განსაზღვრასთან, აზერბაიჯანულ-ქართული კონფლიქტის შექმნის პერსპექტივებთან დაკავშირებით, ასევე საქართველოს მომავალი დანაწევრების საფრთხეს შეიცავს სახელწიფო თუ დომინანტური რელიგიის ოფიციალური ორგანოებიდან მიღებული ნებართვებისა თუ თანხმობის გარეშე საჯულტო ნაგებობების უკანონო, გამალებული შენება, დაფინანსებული გარედან.

გადახრა და დაუბალანსებლობა საშიშია არა მარტო გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ სულიერი და კულტურული თვალსაზრისითაც. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ხიდის მისია ჩვენი ერის ისტორიული მისია, - როგორც ქრისტე აერთიანებს თავის თავში ევროპასა და აზიას (წმ. ნიკოლოზ სერბი), ისე ქართული აზროვნება, სულიერება და კულტურა იტევს თავის თავში როგორც დასავლურ რაციონალიზმსა და მშვინვიერ ესთეტიკას, ისე აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელ მისტიკასა და სულიერ ჭვრეტას. ქართული კულტურა, არის რა ხიდი ევროპისა და აზიას კულტურებს შორის, მით ქმნის მსოფლიო კულტურის განსაკვიფრებელ ნიმუშს, ესთეტიკასა და სახეებს. სწორედ ეს არის ჩვენი ავთენტურობის, ჩვენი იდენტურობის უმნიშვნელოვანესი ნიშანი. ამიტომაცა საშიში გადახრის ტენდენცია, - დასავლურისკენ ზედმეტი გადახრა, რაც თვალნათლივ შეინიშნება, მოშლის ამ ხიდის როლის მისიას, გააღარიბებს ჩვენს აზროვნებასა და შემოქმედებას, დიდად ავნებს ჩვენი ერის სულიერ და კულტურულ როლსა და მისიას კაციონიობის წინაშე. ამიტომ სულიერებისა და კულტურის სფეროებშიც ჩვენი სამოქმედო გზა უნდა უფუძნებოდეს ისტორიულ გამოცდილებას, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განვითარების, სულიერებისა და კულტურის აღზევების, მისი ოქროს ხანის აზროვნებასა და ნიმუშებს.

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრული თვითშეგნებით აღნიშნავთ: ვისაც სურს, რომ იყოს ჩვენი წინაპრების სულიერი მემკვიდრე, მათი მრწამსისა და ცნობიერების მატარებელი, მათი ადათ-წესებისა და ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, ჩვენი ქვეყნის სრულფასოვანი წევრი, სრული სამართალ-მემკვიდრე როგორც სულიერი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, თავს უფლებას ვაძლევთ, მოვუწოდოთ, რომ გავერთიანდეთ ქრისტეში სამშობლოს გადასარჩენად, ჩვენი ეროვნული ცნობიერებისა და მომავალი თაობის ზნეობის დასაცავად, და დავდოთ აღთქმა ღვთისა და ერის წინაშე, აღთქმა, რომელიც რუის-

ურბნისის ქრებამ გვიანდერძა, ვითარცა უძვირფასესი მემკვიდრეობა, ვითარცა საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის ქვაკუთხედი, ვითარცა ფიცი და, იმავდროულად, ლოცვა: „არა გეცრუენეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე (საყოველთაო-ავტ.) ეკლესიაო, არცა გაგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობავ!” - ამინ!

ავთანდილ უნგიაძე

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ.
მართლმადიდებელი მრევლის კაგშირის თაგმადომარე



ახალი მსოფლიო წესრიგის აღეპტები –
გლობალიზაცია ანტიქრისტეში



ბუშები



პაპი ბენედიქტე XVI



სარკოზი



ობამა



ეშმაკის ნიშანი



კლინტონი



პუტინის მეგობრები პაპი–სატანური ჯვარი



ბერლუსკონი



არაფატი




აკმადინაჯადი



ჰილარი კლინტონი

Mano Cornuta- ეშმაკის გამოსახვა-მისალმება



გთხოვთ დაგვიკავშირდეთ -
geoorthodox@yahoo.com
<http://www.religia.ge>